ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა, სპორტის და ჯანდაცვის კომისიების გაერთიანებული სხდომის

ოქმიN13

25.05.2023
სხდომის ჩატარების ადგილი:
ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი
თვითმმართველობის შენობა.
რუსთაველის გამზირი N3

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა, სპორტის და ჯანდაცვის კომისიის გაერთიანებული სხდომა ჩატარდა თვითმმართველობის შენობაში არსებულ სხდომათა დარბაზში, სხდომას ხელმძღვანელობდა კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ბექა ქებულაძე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისია, თავმჯდომარე - ბექა ქებულაძე. წევრები:

თეა ჯუღელი, ჯემალ ბიბილეიშვილი, მანანა ჩიხლაძე, მარეხი ნიჟარაძე, ხათუნა არველაძე.

სულ 6 წევრი.

არ ესწრებოდა: ბესიკ ხამაშურიძე, კახაბერ გაბუნია, თედო მესხი, ქეთევან ხურციძე, ანა კოხრეიძე, ნინო ჩიკვაშვილი.

ჯან-დაცვის კომისია, თავმჯდომარე-მამუკა რიჟამაძე, წევრები:

ირაკლი შენგელია, თეიმურაზ ნადირაძე, დიმიტრი მხეიძე, მაგდა კოსტავა, მანანა ჩიხლაძე, მერაბ ჭოხონელიძე, ელეონორა არჩაია, გრიგოლ შუშანია, გაგა მანაგაძე, ნინო ბიბილეიშვილი.

სულ 11 წევრი.

არ ესწრებოდა: დარეჯან ფხაკაძე, ქეთევან ხურციძე, ანა კოხრეიძე.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი თეონა მელქაძე.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ , ბატონმა ბექა ქებულაძემ და წარმოადგინა დღის წესრიგი:

1. ა. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების მმართველის კობა ფხაკაძის ანგარიში, 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების შესახებ.

   ბ. მიმდინარე საკითხები.

2. ა. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების მმართველის კობა ფხაკაძის ანგარიში, სპორტულ სკოლებში არსებული სამედიცინო ოთახების მდგომარეობის , სამედიცინო ინვენტარის და შეძენილი მედიკამენტების შესახებ.

წარმოდგენილ საკითხებზე ზოგადი მიმოხილვა გააკეთა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბექა ქებულაძემ:

,,მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო. თქვენის ნებართვით გავყვეთ სხდომის დღის წესრიგს, გთხოვთ ბატონო კობა წარმოადგინოთ პირველი საკითხი- ,, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების შესახებ და მიმდინარე საკითხები.

ბატონი კობა ფხაკაძე: ,, მოგესალმებით, მადლობა მოწვევისთვის. წარმოგიდგენთ ჩვენი გაერთიანების მიერ, 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ, დღემდე ჩატარებულ ღონისძიებებს.

1. 2 იანვარი- ქუთაისის ყინულის მოედანზე საახალწლო ღონისძიება გაიმართა.
წარმოდგენა ფიგურული სრიალისა და ყინულის ჰოკეის ჯგუფების აღსაზრდელებმა მოაწყვეს.

2. 6 თებერვალი- ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში აკაკი ნუცუბიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი მე-10 რესპუბლიკური ტურნირი .
3. სასკოლო ღია პირველობა ძალოსნობაში.
4. 5-10 აპრილი- ტურნირი კრივში იმერეთის თასის მოსაპოვებლად. 2009-2012 წლებში დაბადებულ სპორტსმენებს შორის.
5. 8 მარტი- ჩემპიონატი სამბოში 2005-2007 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის
6. 11 მარტი- ქალაქის ღია პირველობა ძალოსნობაში ჭაბუკთა შორის (2010წ და ზემოთ დაბადებულ სპორტსმენთა შორის)
7. 21 მარტი- საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრი კრივში 2007-2008 და 2009-2011 წლებში დაბადებულ მოკრივეებს შორის.
8. 4 აპრილი- ა(ა)იპ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების ორგანიზებით სასკოლო სპორტული ოლიმპიადის იმერეთის ტურნირი გაიხსნა. მოსწავლეები რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტიდან ერთმანეთს გეზმრბენსა და ბადმინტონში შეეჯიბრნენ.
9. 20 აპრილი-ქუთაისის სპორტის სასახლეში ჩატარდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის რეგიონალური ტურნირის ფინალური ეტაპი კალათბურთში, ვაჟთა და გოგონათა გუნდებს შორის.

10. 26 აპრილი -სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2023-ის ფარგლებში ქ. ქუთაისის სპორტის სასახლემ, ფეხბურთში, გოგონათა შორის, იმერეთის რეგიონულ თამაშებს უმასპინძლა.

11. საქალაქო ღია პირველობა მკლავჭიდში

12. 4 მაისი- ვაჟთა შორის მინი ფეხბურთში სასკოლო სპორტული ოლიმპიადის იმერეთის რეგიონალურიტურნირი

13. 8 მააისი-ქუთაისის ღია პირველობა ძიუდოში.

რაც შეეხება სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების სპორტსმენთა მიერ 2023 წლის იანვრის თვიდან დღემდე მიღწეული შედეგებს, შემდეგნაირად გამოიყურება: იანვრიდან დღემდე სხვადასხვა რანგის ტურნირებზე მოპოვებული იქნა 623 მედალი.

I - 239
II - 189
III - 201

აქედან, მსოფლიო ჩემპიონატზე, მსოფლიო თასზე, ევროპის ჩემპიონატზე, თასზე და პირველობაზე, ასევე საერთაშორისო ტურნირებზე მოპოვებული იქნა **212** მედალი.

ფინანსური ანგარიში

N	დასახელება	2023 წლის წლიური ასიგნება	ბიუჯეტის შესრულება 22,05,2023 წლისათვის	შესრულების %	შენიშვნა
	ა(ა)იპ ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება	5 745 000	2 075 406	37	
	მომუშავეთა რიცხოვნობა		481		
	შტატგარეშეთა რიცხოვნობა		59		
	ბენეფიციართა რიცხოვნობა				
	ხარჯები	5 645 000	2 068 356	36,6	
	შრომის ანაზღაურება	3 575 000	1 153 512	32,3	
	საქონელი და მომსახურება	1 400 000	570 291	40,7	
	სოციალური უზრუნველყოფა	20 000	11 828	59,1	
	სხვა ხარჯები (გუნდების მივლ)	650 000	332 725	51,2	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	100 000	7 050	7,1	
	ვალდებულებების კლება	0	0		

ა(ა)იპ ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებას ბიუჯეტიდან მიმდინარე წელს მიღებული აქვს დაფინანსება 2 075 405 ლარი, რომელიც წლიური ასიგნების 37 %-ს შეადგენს. აღნიშნული დაფინანსება გახარჯულია:

შრომის ანაზღაურებაზე - 1 153 512 ლარი
საქონელი და მომსახურებაზე - 570 291 ლარი
მათ შორის: შტატგარეშე მუშაკთა ხელფასებზე - 116 432 ლარი
მივლინებებზე - 78 515 ლარი
კავშირგაბმულობის და კომუნალური ხარჯები - 107 525 ლარი
სამეურნეო საქონელი - 10 334 ლარი
რბილი ინვენტარი და უნიფორმა - 4 880 ლარი
საკანცელარიო საქონელი - 5 902 ლარი
სპორტული ღონისძიებები -13 400 ლარი
საწვავ-საპოხი მასალები - 9 346 ლარი
ტენდერის ტრანსპორტის მომსახურება - 38685 ლარი
საიჯარო ქირების ხარჯი - 68 666 ლარი
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაში
(დაცვის, დეზინფექციის,კატრიჯების, ბინის ქირა და სხვა) - 12 702 ლარი

სოციალური უზრუნველყოფის მუხლში გახარჯულია 11 828 ლარი, რომელიც ასიგნების 59,1 %-ს შეადგენს.

სხვა ხარჯებში დახარჯულია სპორტული ღონისძიებების, გუნდური მივლინებების თანხა - 332 725 ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში გაწეული ხარჯი შეადგენს 7 050 ლარს.

ბექა ქებულაძე: ,,დიდი მადლობა ბატონო კობა კომისიის სახელით, იმისათვის , რომ ჩართული ხართ ქალაქის კულტურული სპორტული ცხოვრების წინსვლისთვის და ხელშეწყობისთვის. ჩვენ შეგვიძლია ერთობლივი ძალებით ძალიან ბევრი საქმე გავაკეთოთ ჩვენი ქალაქის საკეთილდღეოდ.

მამუკა რიჟამაძე : ,, გადავიდეთ დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხზე - ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების მმართველის კობა ფხაკაძის ანგარიში, სპორტულ სკოლებში არსებული სამედიცინო ოთახების მდგომარეობის , სამედიცინო ინვენტარის და შეძენილი მედიკამენტების შესახებ." გთხოვთ, ბატონო კობა. ,, ა(ა)იპ ქ. ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების თითოეულ ფილიალში ცალკე გამოყოფილია სამედიცინო ოთახი, რომლებიც მეტ-ნაკლებად აღჭურვილია სამედიცინო ინვენტარით: სამედიცინო საწოლი, სამედიცინო კარადა და სამედიცინო სასწორი, მასაჟის გასაკეთებელი სპეციალური მაგიდა. ყოველწლიურად ხდება პირველადი დახმარების მედიკამენტების შეძენა სპორტსკოლების მოთხოვნის შესაბამისად და შესყიდვა უმეტესწილად ხდება ზაფხულში ახალი სასწავლი წლისათვის.

თითოეულ ფილიალს ყავს მედდა. ისინი უზრუნველყოფენ მედიკამენტების მოთხოვნას, მიღებას, გაცემას, ნაშთის და ვადების აღრიცხვის რეგულირებას.

2022 წელს პირველადი დახმარების მედიკამენტებისათვის გახარჯული იქნა 9186.96 ლარი.

დღეის მდგომარეობით უკვე გაფორმებულია 770.29 ლარიანი ხელშეკრულება პირველადი დახმარების აღმოსაჩენად სახარჯი მასალის შესაძენად და მოთხოვნილი მედიკამენტების მიხედვით მიმდინარეობს ფასების ბაზრის კვლევა და შესაბამისად მოხდება მათი შეძენა სპორტსკოლების მოთხოვნის შესაბამისად.

მ/წელს იგეგმება როგორც სამედიცინო ინვენტარის განახლება, ასევე მედიკამენტების შეძენა.

წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით დებატები არ ყოფილა. კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბექა ქებულაძემ საკითხები დააყენა კენჭისყრაზე.

კომისიამ ღია კენჭისყრით, ერთხმად დაადგინა: მოწონებულ იქნას ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების მმართველის კობა ფხაკაძის ანგარიში, 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების შესახებ; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების მმართველის კობა ფხაკაძის ანგარიში, სპორტულ სკოლებში არსებული სამედიცინო ოთახების მდგომარეობის , სამედიცინო ინვენტარის და შეძენილი მედიკამენტების შესახებ.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა, სპორტის და ჯან-დაცვის გაერთიანებულმა კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე
ბექა ქებულაძე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯან-დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე
მამუკა რიჟამაძე